ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-1(286-22
"27" 01 2022 წ.

დადგენილება №001891
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

27.01.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ზურაბ მამსიკაშვილმა, განვიხილე, 2021 წლის 30 დეკემბრის №001891 მითითება და 2022 წლის 25 იანვრის №001891 შემოწმების აქტი, შედგენილი **მოქ. ლაშა ლალიაშვილის** (პირადი №01025005491; მისამართი: თბილისი, ს. ტაბახმელა თბილისი-კოჯრის გზატ. №102 ფ. 21) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ზარწემის ქუჩა, №16, №01.14.16.009.146 საკადასტრო კოდზე, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის განცხადებების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, განხორციელდა არქიტექტურული პროექტით შეთანხმებული ორი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განშლის რეგისტრაცია, კერძოდ №01.14.16.009.146 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული №3 და №2 შენობა-ნაგებობები, რომლის კორექტირებული პროექტიც შეთანხმდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანებით (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 02 ივლისის №5483320 ბრძანებით, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 02 ივლისიდან 2023 წლის 02 დეკემბრის ჩათვლით), მესაკუთრის მოთხოვნით, დაიყო 6-6 დამოუკიდებელ ფართად. შესაბამისად, სახეზეა ობიექტის ფუნქციური ცვლილება, რაც საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 3[18] მუხლის 3 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს უნებართვო მშენებლობას.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მზარის მიმართ, 2021 წლის 30 დეკემბერს შედგა №001891 მითითება, რომლითაც მზარეს განესაზღვრა 25 კალენდარული დღის ვადა, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2022 წლის 25 იანვარს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ, შედგა №001891 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

მხარის მიერ, 2022 წლის 25 იანვრის №19/01220252420-17 შემოტანილი განცხადებით, წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის 2022 წლის 25 იანვრის ამონაწერი, რომლითაც დგინდება, რომ ქ. თბილისში, ზარწემის ქუჩა, №16, №01.14.16.009.146 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული განშლა გაუქმებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შესრულდა მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 30 დეკემბრის №001891 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება **მოქ. ლაშა ლალიაშვილის** მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **ზურაბ მამსიკაშვილი**